შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№37 (9.897)

5-12 ოქტომბერი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„მასწავლებელი შუქი სულისა“ კულტურის სახლის სცენაზე

გვ. 2

იყო ტანჯული ერთი ოსტატი...

გვ. 4

რითი ჰგავს ევროპის კავშირი საბჭოთას?

გვ. 3

ახალგაზრდობიდანვე ვიზრუნოთ ღირსეულ სიბერეზე...

გვ. 6

ხატია წილოსანი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობას შეხვდა

გვ. 2

ჭადრაკი – ინტელექტის კოეფიციენტს + 25%

გვ. 3

გვ. 6

აქცია – არა სიგარეტს!

პოლიტიკური თამაშები

გვ. 5

C M Y K

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, აუცილებელია საზოგადოებასა და პოლიტიკურ ძალთა შორის პოლარიზაციის დაძლევა

საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, აუცილებელია საზოგადოებასა და პოლიტიკურ ძალთა შორის პოლარიზაციის დაძლევა. აღნიშნული განცხადება სალომე ზურაბიშვილმა დღეს, ბათუმში ნატოს გენერალური მდივნის მოადგილესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

,,ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია და დეოკუპაცია - თუ არ ვიქნებით ერთიანი ამ სამ საკითხთან მიმართებაში, ვერ გავიმარჯვებთ! დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შევძლებთ გაერთიანებას და დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებთ! ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ჩვენი მიზანი ურყევია, რომელიც ვერავინ შეგვაცვლევინა და ვერავინ შეგვაცვლევინებს. ეს ჩვენი ხალხის ურყევი გადაწყვეტილება და ჩვენი არჩეული გზაა, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია და ალბათ, ყველა უნდა შეეგუოს იმას, რომ ამ გზაზე საქართველო ძალიან ეფექტურად ივლის წინ!“,- განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

„მასწავლებელი შუქი სულისა“ კულტურის სახლის სცენაზე

დედოფლისწყაროს კულტურის სახლში მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,მასწავლებელი შუქი სულისა“ გაიმართა.

კონცერტზე საპენსიო ასაკს მიღწეულ და მოქმედ წარმატებულ პედაგოგებს სიგელები და საჩუქრები დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თაბვმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ეთერ დავითაშვილმა და საკრებულოს კულტურის , განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, მიხეილ ბხუტაშვილმა გადასცეს .

ღონისძიებაზე მუსიკალური ნომრები ადგილობრივმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა წარმოადგინეს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით პედგოგიური მოღვაწეობა წელს 58-მა პენსიონერმა დაასრულა, ხოლო მშობლიურ სკოლებში ყველაზე წარმატებულად თხუტმეტი პედფაგოგი დასახელდა.

დავით ზალკალიანი - ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტი არის დასტური, რომ საქართველოს აქვს მხარდაჭერა ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე

ამ ორი დღის განმავლობაში ვისმენდით მხოლოდ პოზიტიურ შეფასებებს იმ კურსთან დაკავშირებით, რაც საქართველოს გააჩნია ნატოში იმტეგრაციის კუთხით, - ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წევრების ვიზიტის დასრულებასთან დაკავშირებით განაცხადა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან შემაჯამებელ კომენტარში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წარმომადგენლებთან ორდღიანი შეხვედრები შეაფასა და ხაზი გაუსვა, რომ ეს ღონისძიება იყო დასტური - საქართველოს აქვს ნატოს მხარდაჭერა ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. მისივე თქმით , მხარეებს ორი დღის განმავლობაში ჰქონდათ საუბარი ყველა იმ საკითხზე, რაც აქტუალურია ნატო-საქართველოს ურთიერთობაში.

“ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო, რადგანაც ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საქართველოში ვიზიტი არის ხაზგასმა იმ პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის, რომელიც საქართველოს გააჩნია ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ორი დღის განმავლობაში გვქონდა ძალიან საინტერესო და შინაარსიანი დისკუსია ყველა ძირითად საკითხზე, რაც აქტუალურია ნატო-საქართველოს ურთიერთობებში. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ნატოელ პარტნიორებს მიეცათ შესაძლებლობა, მოესმინათ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებისა და შესაბამისი პოლიტიკური პარტიების მოსაზრებები, თუ როგორ ხედავენ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზას”, -განაცხადა დავით ზალკალიანმა.

მისივე თქმით, ნატოს მხრიდან პოზიტიურად შეფასდა ის კურსი, რაც საქართველოს აქვს ნატოში ინტეგრაციის კუთხით და ასევე პოზიტიურად შეფასდა ის გადაწყვეტილება, რაც ხელისუფლებამ მიიღო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ახალ სისტემაზე.

“რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ ამ ორი დღის განმავლობაში ვისმენდით მხოლოდ პოზიტიურ შეფასებებს იმ კურსთან დაკავშირებით, რაც საქართველოს გააჩნია ნატოში იმტეგრაციის კუთხით და იმ რეფორმებთან მიმართებაში, რაც ქვეყანამ განახორციელა თავდაცვის და უსაფრთხოების მიმართულებით. ასევე, პოზიტიურად შეფასდა ის გადაწყვეტილება რაც საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რაც მიანიშნებს საქართველოს დემოკრატიის მდგრადობას და თანმიმდევრულობას”,- განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა.

თამარ ჩუგოშვილი - რუსეთთან ფრენების აღდგენა ჩვენს ინტერესშიც არის

რუსეთთან ფრენების აღდგენა, რა თქმა უნდა, ჩვენს ინტერესშიც არის, - ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, ფრენების აღდგენა საქართველოს ძალიან ბევრი მოქალაქისთვის არის მნიშვნელოვანი და პირდაპირ არის დაკავშირებული მათი შემოსავლის წყაროსთან.

„რაც შეეხება ზუსტ მომენტს, ამაზე ვერ გიპასუხებთ. ამაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ექნება მეტი ინფორმაცია. ჩვენი მხრიდან მცდელობა, რომ საქართველოში ჩვენს მოქალაქეებს შემოსავლის სახით ჰქონდეს, მათ შორის, ამ ფრენებით საქართველოში ჩამოსული ადამიანების მიერ დახარჯული თანხები, რა თქმა უნდა, არის მნიშვნელოვანი და ბევრი ადამიანის ცხოვრების ხარისხზე აისახება ეს”, - განაცხადა ჩუგოშვილმა.

შეგახსენებთ, რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთმა და საქართველომ უნდა დააფიქსირონ მომენტი, როდესაც მათთვის მოსახერხებელი იქნება ავიამიმოსვლის განახლება.

ხატია წილოსანი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობას შეხვდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოდგილე ხატია წილოსანი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების ზემო მაჩხაანის, გამარჯვებისა და ხორნაბუჯის მოსახლეობას შეხვდა და სოფლებში არსებულ პრობლემებსა და საჭიროებებს ადგილზე გაეცნო.

ხატია წილოსანმა ადგილობრივ მოსახლეობას სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, ასევე გარემოს დაცვის კუთხით განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე მიაწოდა ინფორმაცია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგები მევენახეობა, მეცხოველეობა და მარცვლოვანი კულტურების წარმოებაა, შესაბამისად, მოსახლეობის შეკითხვები სწორედ აღნიშნული დარგების განვითარების ხელშეწყობას უკავშირდებოდა. ამასთან, ადგილობრივებმა ძირითად საჭიროებად სასმელი წყლის, ქარსაფარი ზოლების, სასოფლო-სამეურნეო მიწების გასარწყავიანების, შიდა გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება დაასახელა.

როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მსგავსი შეხვედრების მიზანია მოსახლეობის პრობლემების ადგილზე გაცნობა, რათა ყველა მუნიციპალიტეტის ძირითადი საჭიროები მომავალი წლის ბიუჯეტში აისახოს. ადგილობრივების მიერ დასახელებული პრობლემები ხელისუფლების ყურადღების მიღმა არ დარჩება და ყველა მათგანის მოგვარება ეტაპობრივად მოხდება.

მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრებს დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, კახეთის მხარის გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გიორგი კაკაურიძე - 2020 წელს კაპიტალური პროექტების სახით ქვეყანაში, ჯამში, 3.7 მილიარდი ლარი დაიხარჯება

2020 წელს, კაპიტალური პროექტების სახით ქვეყანაში, ჯამში, 3.7 მილიარდი ლარი დაიხარჯება, - ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ დიასპორის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტზე მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას განაცხადა.

კაკაურიძის განცხადებით, 2020 წლის ბიუჯეტი მორგებულია მოქალაქეებზე და 5 - პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის პირობებში მიღებული შემოსავალი სწორედ მოსახლეობის საჭიროებებზე მიიმართება.

„მომავალ წელს, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი პროგნოზირებული გვაქვს 5%-ის ოდენობით. ამაზეა დაფუძნებული ჩვენი რესურსები. ასევე, ჩვენ დაბალ ნიშნულზე - 2.7 პროცენტზე შევინარჩუნეთ ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი, და რაც მნიშვნელოვანია, არ შევამცირეთ კაპიტალური ხარჯების წილი ბიუჯეტში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დაგეგმილი ეკონომიკური ზრდა ჩვენს ქვეყანაში“, - აღნიშნა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

რითი ჰგავს ევროპის კავშირი საბჭოთას?

ეჭვგარეშეა, რომ საქართველო ევროპისკენ უნდა წავიდეს. ის, რაც ამ მიმართულებას ამყარებს, უძველესი ევროპული კულტურაა, რომელიც ადამიანს და მის თავისუფლებას მთავარ ღირებულებად აღიარებს. აქედან გამომდინარე, ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის გასაგებია, რატომ არ მოგვწონს რუსული კოლექტივიზმი, მაგრამ მე-20 საუკუნეში ევროპის კოლექტივიზმისკენ მიდრეკილება, სულ მცირე, დამაფიქრებელია.

მაგალითად, შეიძლება ავიღოთ საპენსიო სისტემა, რომელიც გერმანიაში იშვა მე-19 საუკუნის მიწურულს და დამყარებულია თაობათა სოლიდარობაზე, რაც გამორიცხავს როგორც ადამიანის პირად თავისუფლებას, ისე პასუხისმგებლობასაც. ეს სისტემა დღეს დიდი კატასტროფის წინაშე დგას და ეს ყველა ევროპელი პოლიტიკური ლიდერისთვის ცნობილია. თუმცა, ისინი ამ სისტემის პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას არ ჩქარობენ: ჯერ ერთი, უკვე აღებული ვალდებულებები ძალიან მძიმეა (საქმე გვაქვს ჩვეულებრივ პირამიდასთან) და მეორეც — არავის სურს, საკუთარ თავზე აიღოს ასეთი გადაწყვეტილების პოლიტიკური პასუხისმგებლობა.

სხვა მაგალითი მსოფლიოში პოპულარულ საყოველთაო განათლებას ეხება: მისი არსებობა სრულიად სცდება ადამიანის ეთიკის ნორმებს — ხალხს სწავლას აძალებენ, რადგან ეს, თითქოსდა, საზოგადოების ინტერესს (კოლექტივს) სჭირდება.

ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ევროპამ მკვეთრად გადაუხვია მარცხნივ, კოლექტივიზმისკენ და თავად გახდა ამის პროპაგანდისტი. კოლექტიურ აზრს ნახავთ ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა კონსტიტუციური მოწყობა — მაგალითად, პარლამენტი და კაბინეტი (რასაც ჩვენში მთავრობას ეძახიან). ეს კოლექტიური გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებია და მათში ინდივიდუალური პასუხისმგებლობა კოლექტიურმა ჩაანაცვლა, ამან

(გაგრძელება გვ. 7)

„რაც უფრო მეტს გეგმავს სახელმწიფო, მით უფრო რთულდება ინდივიდის მიერ დაგეგმვა“.

ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი

ჭადრაკი - ინტელექტის კოეფიციენტს + 25%

20-29 სექტემბერს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც 11 ქვეყანა მონაწილეობდა. სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტურნირში დედოფლისწყაროელმა ახალბედა მოჭადრაკეებმაც მიიღეს მონაწილეობა. მკითხველს შევახსენებთ, რომ მარტიდან სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრის მხარდაჭერით ჭადრაკის წრე ფუნქციონირებს, რომელსაც ბატონი გიორგი კიკილაშვილი ხელმძღვანელობს. დღეს გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

– ბატონო გოგი, მოგვიყევით თქვენს შესახებ...

– დავიბადე 1957 წელს, 1980 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო-სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. თითქმის 25 წელი ვიმუშავე ჯანდაცვის სისტემაში. ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა გამომატარა საქმიანობათა სხვადასხვა სფერო და გულწრფელად მინდა ვთქვა, რომ ქვეცნობიერად მუდმივად თან დამდევს ნოსტალგია ჩემი ძირითადი პროფესიისა... ბოლო 15 წელია, მთლიანად ვიყავი დაკავებული ბიზნესით და ამ სფეროს მთავარი დოქტრინა - მოგებაზე ორიენტირება, ანუ ბევრი ფულის მიღებისკენ სწრაფვა, რბილად რომ ვთქვა, აუტანელი გახდა ჩემთვის. ამიტომაც,ორი წლის წინ ქრისტიანულ ანთროპოლოგიაში ლექციების კითხვა დავიწყე,ხოლო 2019 წლის მარტში შევქმენი საჭადრაკო კლუბი, სადაც ვცდილობ, ბავშვებსა და მოზარდებს ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების ჩანოყალიბებაში დავეხმარო.

– პირველად როდის მოვიდა ჭადრაკის სიყვარული?

– ჭადრაკის სიყვარული, როგორც ჭეშმარიტი სიყვარულის სხვადასხვა მიმართულება, თავისით მოვიდა. რათქმაუნდა, ამაში ხელი შემიწყო იმ გარემოებამ, რომ ბიძაჩემი (ვიქტორ ბოსტოღანაშვილი) ჭადრაკის დიდი მოყვარული იყო და როცა ზაფხულობით დედოფლისწყაროში (წითელწყაროში) ჩამოდიოდა და ჭადრაკს თამაშობდა, მე სიამოვნებით ვიდექი მის გვერდით დაჭადრაკის ფიგურების სვლებს ვსწავლობდი. ერთხელაც (მაშინ ოთხი წლის ვიყავი) ვთხოვე, ჭადრაკი ჩემთან ეთამაშა. „ცხენით (მხედარი) სვლები თუ იცით?“- შემეკითხა. აი, ნახე- მეთქი და დავიწყე ჭადრაკის ფიგურებით სვლების დემონსტრირება. ასე წარმატებით ჩავაბარე პირველი გაკვეთილი და მას შემდეგ ვიქტორი ბიძია წითელწყაროში ჭადრაკს ჩემს გარდა აღარავის ეთამაშაბოდა... 5 წლისას მასწავლა ჭადრაკის რუსულენოვანი (იმ დროისათვის ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები ნაკლებად იყო) ანბანი და მეც ამ წიგნთან და ჭადრაკის დაფასთან სიამოვნებით ვატარებდი დროს საათობით.

– რა მიღწევები გაქვთ ამ კუთხით?

– 7 წლისა რაიონის ჩემპიონი ვიყავი. ერთხელ თანატოლებში საქართველოს მასშტაბით დავიკავე მეორე ადგილი, მაგრამ შემდგომი წინსვლისათვის მაღალკვალიფიციური პედაგოგის დახმარება იყო საჭირო, რის საშუალებაც ჩვენს რაიონში არ არსებობდა. ასე დავრჩი ჭადრაკის მოყვარულის დონეზე და სკოლის ასაკის შემდეგ, ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობა აღარ მიმიღია, თუმცა, ჭადრაკის სიყვარული არასდროს გამნელებია. მაგალითად, როდესაც გონებრივად და ფიზიკურადაც გადაღლილი ვარ, შინაგანად მწყურია („როგორც დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“) კარგ მოჭადრაკესთან ერთი პარტიის თამაში და როდესაც, იშვიათად, ამის შესაძლებლობა მაქვს, უბედნიერესობის განცდა მეუფლება, მთლიანად ქრება შეგრძნება გადაღლილობისა. ალბათ, ამაშია სიდიადე ჭადრაკის ჭეშმარიტი სიყვარულისა.

– რამ გიბიძგათ, რომ თქვენი ცოდნა ჩვენი ბავშვებისთვის გაგეზიარებინათ, რა არის თქვენი მისია?

– როგორც გითხარით, მე არ ვარ მაღალკვალიფიციური მოჭადრაკე და არც პედაგოგიურ საქმიანობაში მაქვს დიდი გამოცდილება, ამიტომ, ჩემი მისიაც მოკრძალებულია... სჯობია, პედაგოგმა ბავშვს საგნისადმი სიყვარული გაუღვიოს, გული აუნთოს, ვიდრე დიდი ცოდნის ლაბირინთებში აქეთ-იქით ახეტიალოს. საგნისადმი გულანთებული მოზარდი დიდ ცოდნასაც თავის დროზე მაინც შეიძენს. მთავარია, პედაგოგმა თვითოეულ ბავშვში ღვთისგან ნაბოძებ ნიჭის მარცვალს ნოყიერი ნიადაგი მოუმზადოს. ჩემს მისიასაც ამაში ვხედავ.

– რა დამოკიდებულება დაინახეთ ბავშვების მხრიდან ამ ინტელექტუალური თამაშისადმი?

– ძირითადად ბავშვების დამოკიდებულება ჭადრაკისადმი ისეთივეა, როგორიცაა ბავშვების მშობლების დამოკიდებულება ინტელექტუალური თამაშებისადმი. როგორადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, ეს დამოკედუბულება ხშირ შემთხვევაში არასერიოზულია... რომის იმპერიის დიდებას 23 საუკუნე გვაშორებს, მაგრამ დღესაც კვლავ ძალაშია რომაული საზოგადოების ძირითადი დაკვეთა: პური და სანახაობა! ასევე თვალშისაცემია ჩვენი საუკუნისათვის დამახასიათებელი ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებით მოზარდი თაობის რობოტიზაციისა და ზომბირების დიდი საფრთხე!

– შეგიძლიათ, ამ შემთხვევაში როგორც ექიმმა, გვითხრათ, რა პოზიტივის მოცემა შეუძლია მოზარდის მენტალური ფორმირების საქმეში ჭადრაკს?

– ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ჭადრაკი ბავშვის არამარტო მენტალური აღზრდის საუკეთესო საშუალებაა, არამედ იგი არის მოზარდში სწორად ცხოვრების წესის დამკვიდრების მანათობელი შუქურა. ის გასწავლის სწორი ნაბიჯის გადადგმისათვის სწორად ფიქრის უნარს, ემოციებითა და იმპულსებით მართულ სუბიექტში აყალიბებს სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ჭადრაკი იდეების სამყაროა, რომელიც მართავს ჩვენი ყოფიერების მატერიალურ მხარეს. ჭადრაკი გასწავლის განსაცდელებისა და სიძნელეების გადალახვას არა წუწუნითა და გოდებით, არამედ გონიერებით; არა სიჩქარითა და ვნებათა ღელვით, არამედ მოთმინებითა და სიბრძნით; არა

ძალით, არამედ ხერხით! ასეთია ჭადრაკის რეალური ანატომია... სასიხარულოდ მინდა ვთქვა, რომ ჩვენს კლუბში უკვე არის 5 ბავშვი, რომლებიც ჭადრაკის დაფაზე რთული სიტუაციიდან ღირსეულად თავისდაღწევისას, ან ურთულესი ამოცანის ამოხსნისას, განიცდიან არა ემოციურ სიხარულს, არამედ გონიერებით ტკბობას და მე ამას ვგრძნობ, როცა ამ დროს მათსახეებს ვუყურებ. შეიძლება ეს ბავშვები დიდი მოჭადრაკეები არ გახდნენ, მაგრამისინი აუცილებლად ღირსეულ მამულიშვილებად გაიზრდებიან!

– გვიამბეთ „ნონას თასზე“...

– ნონა გაფრინდაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ყველაზე პრესტიჟული ტურნირია საქართველოში. წელს ამ ტურნირში მონაწილეობას იღებდა 11 ქვეყნის წარმომადგენელი, მათ შორის ისეთი ჭადრაკში ტრადიციების მქონე ქვეყნები, როგორიცაა: ინდოეთი, ჩინეთი, საფრანგეთი და სხვა. მონაწილეთა სიძლიერის მიხედვით (ფიდეს რეიტინგი) დაყოფილნი იყვნენ 3ჯგუფად. ბუნებრივია, ჩვენ მონაწილეობას ვიღებდით მე-3 ჯგუფში, სადაც 92-მა მოჭადრაკემ მოიყარა თავი. ტურნირი ჩატარდა 9 ტურად- დღეში თითო პარტია. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ორი ბავშვი (დემეტრე ფიროსმანაშვილი – 9 წლის და გიორგი გველუკაშვილი – 12 წლის) იღებდა მონაწილეობას. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ასეთი რანგის ტურნირიდან მიგვეღო გამოცდილება საჭადრაკო დროისრაციონალურად გამოყენებაზე, თამაშის ჩაწერის კულტურაზე, ფსიქოემოციური სფეროს გონებით მართვაზე და სხვა. ძირითადი შედეგი მიღწეულია – არ გვქონია ზოგადი საჭადრაკო წესების დარღვევისათვის ქულის დაკარგვის შემთხვევას. რაც შეეხება ქულების შედეგს, უნდა ვაღიარო, რომ უფრო უარეს შედეგს ველოდი. ბუნებრივია, ხუთი თვის შრომის შედეგი ვერ გადაწონიდა მოწინააღმდეგეთა 4-5 წლიან მომზადებას. მიუხედავად ამისა, გიორგი გველუკაშვილმა 3,5 ქულა დააგროვა და დიდი შანსია, ფიდესგან მიიღოს სარეიტინგო შეფასება. 9 წლის დემეტრე ფიროსმანაშვილმა 2 ქულა მოიპოვა და იმედია, ეს სტარტი კარგი სტიმული იქნება შემდგომი წარმატებებისათვის.

– როგორც ექიმი, მოჭადრაკე და სამი წარმატებული ვაჟის მამა, რას ურჩევთ მომავალ თაობას?

– მომავალ თაობას და მათ მშობლებს ვურჩევდი, მეტი სერიოზულობით მიუდგნენინტელექტუალურ თამაშებს. მუდამ ახსოვდეთ, რომ ჭადრაკი არ არის ემოციურად გართობის საშუალება, არამედ იგი არის ადამიანში ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბების ძლიერი ინსტრუმენტი.

დასასრულს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და „ნონას თასზე“ მონაწილე ბავშვების – გიორგი გველუკაშვილის და დემეტრე ფიროსმანაშვილის მშობლების სახელით, მადლობა გადავუხადოთ ბატონ გოგი კიკილაშვილს და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრს, ჩვენი შვილებისთვის მნიშვნელოვანი გამოცდილების მილების შანსისა და გრძელვადიან პერსპექტივაში გადადგმული ამ დიდი ნაბიჯებისთვის.

ელზა ხარაშვილი

იყო ტანჯული ერთი ოსტატი...

„აქ, ამ ქუჩებში, დადიოდა, როგორც სიზმარი,
(საქართველოს ცას აქ ეტფოდა მისი ოცნება),
ჩამოხეული, ტანმაღალი, მარად ხიზანი,
მარტოოდენ გული და ბაჯაღლო ჰატიოსნება.
. . . . . .
მთვარეულივით დავემხობი თბილისის მიწას
და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს ვკოცნი“.

ლადო ასათიანი

შაბათს, 28 სექტემბერს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში ნიკო ფიროსმანაშვილის გასახსენებელი შესანიშნავი საღამო ჩატარდა სათაურით **„ფიროსმანი – ძველი თბილისის აშუღი“.** იდეის ავტორი და ინიციატორი ნაზი სარჯველაძე გახლდათ–**ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, ტაო-კლარჯეთის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი, დავით აღმაშენებლის აკადემიის საპატიო პროფესორი, საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი, ჟურნალისტი და მომღერალი- რომანსებისის მაღალი დონის შემსრულებელი.** ყველა ეს ტიტული კი, თავისუფლად, მიგვანიშნებს იმ განსწავლულობასა და პატრიოტულ სულისკვეთებაზე, რომელიც ქალბატონი ნაზის ცხოვრების არსის განმსაზღვრელია. ქალბატონ ნაზის თან ახლდა კონცერმაისტერი ლია ორაგველიძე – **საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი.**

საღამო ღონისძიების წამყვანმა ცარო მარტიაშვილმა ჩვეული ოსტატობით დაამშვენა და ქართველ პოეტთა და საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევი გააცნო, დამსწრეთ რომელიც ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შეფასება-დაფასების ერთგვარი ანალიზი გახლდათ. ქართველი პოეტი ტიცია ტაბიძე ქართველ მხატვართა საზოგადოების ოქმებს გაეცნო და რამდენიმე მომენტი გამოყო: **„1916 წლის 15 მაისის ოქმში აღნიშნულია, რომ კრებაზე მდგარა საკითხი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების გამოძებნისა და შეძენისა,აგრეთვე მისი ბინადრობის აღმოჩენისა და ცნობების შეკრებისა. გამგეობას საყურადღებოდ უცვნია ნიკო ფიორსმანაშვილის ნახატები და აუცილებელ საჭიროებად დაუსახავს მათი აღმოჩენა და შეძენა, მაგრამ, რადგან გამგეობას ფული არ ჰქონდა, გადაუწყვეტია საქართველოს საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოებისათვის მიემართა წინადადებით, რომ შეიძინოს ფიროსმანაშვილის სურათები, როგორც სახალხო ნაწარმოები, ხოლო მხატვართა საზოგადოების გამგეობა პირდება ამ საურათების აღმოჩენას, შეკრებას და შემდეგ გამოფენის მოწყობას“.**

იაკობ ნიკოლაძე – **„ყურადღება ნიკო ფიროსმანაშვილის არ არის გადამეტებული- ეს არის მცირე პატივისცემა, მიძღვნილი ამ დიდი მხატვრის მიმართ, რომელიც თანამედროვეთა სასირცხვოდ მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა სარდაფებსა და კაბაკებში (სამიკიტნოებში), მისი სურათების შეძენა ცალკე პირებისა და აგრეთვე მთავრობის მიერ, არ არის სპეკულაცია, არამედ გვიანი ცდა იმ ნაწარმოებთა გადარჩენისა და მოვლისა, რომელიც წარმოადგენს ერის სიამაყეს. ნიკო ფიროამანაშვილი ღირსია უკვდავებისა, მისი ნამუშევრები შეავსებენ მომავალი მუზეუმების საუკეთესო დარბაზებს. მისი ცხოვრება ღირსია ყურადღებით შესწავლისა“.**

ბენო გორდეზიანი: – **„სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ის ტრიალებდა საქართველოში, უმთავრესად თბილისში, მდაბიო ხალხში, ხატავდა იმას, რასაც ხედავდა. მორცხვი, გულკეთილი, ხათრიანი და მარტოობის მოყვარული, დადიოდა ყველგან შეუმჩნევლად, ასე კენტად გაატარა თავისი გაწვალებული სიცოცხლე და მოკვდა ისე, რომ ფასი ვერ მიიღო იმ უმაგალითო ტანჯვისათვის, რომელიც განიცადა მხატვრობის შეყვარებისათვის“.**

საინტერესო იყო შეფასება გრიგოლ როგაძიძის, ილია ზდანევიჩის, გეროენტი ძიძოძის, კოლაუ ჩერნიავსკის, თენგიზ მირზაშვილის და სხვათა, ხაზი და მიმართულება კი ერთი - ნიკო ფიროსმანაშვილი იყო უდიდესი თვითნასწავლი მხატვარი, რომელიც სიცოცხლეში ვერ დაფასდა. მას არ ღირსებია პერსონალური გამოფენა. დღეს კი ფიროსმანი მსოფლიო გალერეიების სტუმარია უდიდეს მხატვართა გვერდით. სწორედ ამ დღეებში, კიდევ სამი თვით მოითხოვა ფრანგმა დამთვალიერებელმა ფიროსმანის გამოფენის გახანგძლივება, რომელიც ვან-გოგთან ერთად არის გამოფენილი ქალაქ არლის საგამოფენო დარბაზში. ჩვენი ვალია, უფრო ხშირად მოვიგონოთ „თვითრჯული“ და „ტვინდასეტყვილი“ ჩვენი ნიკალა, თვითნაბადი გენია, რომელმაც მსოფლიო რუკაზე საქართველო შემოხაზა. სწორედ ამის მცდელობა იყო ეს ძალიან საინტერესო და მრავალწახნაგოვანი შეხვედრაც, „ძველი თბილისის აშუღთან“. ცარო მარტიაშვილის მიერ გრძნობით წაკითხულ ფიროსმანისადმი მიძღვნილ ქართველ პოეტთა ლექსებს ბუნებრივად შეერწყა ქალბატონ ნაზი სარჯველაძის მიერ შესანიშნავად შესრულებული ქართული რომანსები, რომლებიც ისე მიესადაგებოდა ფიროსმანის ცხოვრებას, მის ისტორიებს, თითქოს თავად ნიკალა იდგა ჩვენს წინაშე. ***„მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის, მოუცია მაღლიდან ღმერთს... სიცოცხლეში, სიკვდილშიაც, შენთან ერთად, შენთან ერთად...“*** ***ან „ისევ შენ და ისევ შენ, ჩემო ტურფავ, ლამაზო, ყველა შენ გენაცვალოს, მოციმციმე ალმასო... მსურდა შენის ხელებით დამხუჭვოდა თვალები“***... ეს ხომ ნიკალას დიდი გრძნობების გამოხატვაა „ელზასელი თეთრი მარგარიტას“ მიმართ. ამ თემას ეძვნებოდა, აგრეთვე, მარიამ კვაჭაძის ტექსტზე ლია ორაგველიძის მიერ შექმნილი სიმღერა, რომლის პრემიერაც სწორედ ამ ღონისძიებაზე ქალბატონმა ნაზი სარჯველაძემ წარმოადგინა: ***„ფუნჯზე ალბათ ანგელოზი გეჯდა და უჩუმრად გკარნახობდა ფერებს, სიკეთისთვის გაჩენილი იყავ, ცა გილოცდა გამორჩეულ ხელებს, ელზასელი თეთრი მარგარიტა გოროზია და გულგრილი მეტად, იმეტებდი ყვავილთ კონას მისთვის, ვინც უარგყო და ვინც გაგიმეტა..“*** მგრძნობიარე და ფაქიზი იყო ფიროსმანისადმი მიძღვნილი კომპოზიცია **„ვარსკვლავთცვენა“**, რომელიც მაღალი ოსტატობით შაესრულა ქალბატონმა ლია ორაგველიძემ.

მსმენელის წინაშე თავისი დიდი წინაპრისადმი მიძღვნილი მოგონებებით წარსდგა **ნიკოს დის, ფეფეს შთამომავალი** ლეილა გოზალიშვილი, **ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.**

- ნიკოს და ფეფეს გამორჩეულად უყვარდათ ერთმანეთი. სახლი, რომელიც ახლა დგას მუზეუმის ეზოში, ნიკომ აუშენა ფეფეს. ცნობისათვის მინდა ვთქვა, რომ ნიკოს ოჯახი ცხოვრობდა და ნიკო დაიბადა ამავე ეზოში, თუთის ძირში მდგარ ქოხში თავის დედმამიშვილებთან ერთად. შემდეგ, როცა ოჯახი გაიზარდა და ვეღარ ეტეოდნენ, ნიკომ, თავისი დანაზოგით, ფეფეს აუშენა ეს სახლი, რომელიც ჩემს მეხსიერებას ღრმა ბავშვობიდან შემორჩა, რადგან იქ ბებია მზრდიდა. 9 წლის იყო ნიკო, როცა უფროსმა დამ მარიამმა თბილისში, თავისთან წაიყვანა საცხოვრებლად. მართალია, და მალევე გარდაიცვალა, მაგრამ სიძემ მაინც უპატრონა ნიკოს და სწორედ თბილისმა და თბილისურმა ცხოვრებამ მისცა საშუალება, თავისი ნიჭი გამომეჟღავნებინა. თუმცა, კავშირი და სიყვარული თავისი ხალხისა და სოფლის მიმართ არასდროს განელებია. მსოფლიო გაოცებულია მისი შემოქმედებით, თემატიკით, საგნებისა და მოვლენების განსხვავებული ხედვით და ფერებით, რომელსაც სიხასხასე დღემდე არ დაუკარგავს. ის ფერების შესაქმნელად ჩამოდიოდა მირზხაანში, სიღნაღში ყიდულობდა საღებავებს, რომელშიც სოფლის მიმდებარედ შეგროვებულ ბალახებთან ერთად აყენებდა და რომლის საიდუმლოც მან თან წაიღო. მე ბედნიერი ვარ, რომ დიდი ნიკო ფიროსმანაშვილის შთამომავალი ვარ. ის ღირსია მეტი დაფასების და ყურადღრების,- თქვა ქალბატონმა ლეილამ.

მსმენელის დიდი ინტერესი გამოიწვია **ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორის** დალი აბაშიძის გამოსვლამ. ის დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების, განათლებული ქალბატონი გახლავთ, ორგზის პარლამენტარს და სხვადასხვა თანამდებობაზე ნამუშევარს დიდი სამეგობრო და სანაცნობო წრე ჰყავს, რომელსაც ის იმ დიდი გეგმების განხორციელებისთვის გამოიყენებს, რომელიც ფიროსმანის ცნობადობის ამაღლებისა და ტურისტული პოტენციალის გაზრდის საქმეში აქვს გათვალისწინებული. მსმენელი აპლოდისემენტებით შეხვდა მის მიერ სამომავლო გეგმებში ასახულ რამოდენიმე ინიციატივას.

- ფიროსმანზე დიდი მოთხოვნაა მსოფლიოში, რასაც ჩვენ მივესალმებით და ხელს ვუწყობთ. იდეა ბევრი მაქვს: მინდა, მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე გავაშენოთ მსოფლიო მნიშვნელობის მხატვართა სოფელი და ვენახი. უფრო ფართო მასშტაბით ახდება ნიკოს ოცნება „ დიდი ხის სახლის და სამოვრის“ შესახებ და აქ თავს მოიყრიან ფრანგი, გერმანელი, ავსტრიელი, იტალიელი თუ სხვა ქვეყნის მსოფლიო დონის მხატვრები თავიანთი გამოფენებით. გვინდა ასევე, ეთნოგრაფიული კუთხით უფრო საინტერესო გავხადოთ მუზეუმის ეზო. ჩვენს მმართველობაში გადმოგვეცა ზემო მაჩხაანის შინმოუსვლელთა კომპლექსი, რომელიც დღეს ძალიან მოუვლელია. ვფიქრობ, აქ დავაარსოთ ახალგაზრდობის სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრი. კინორეჟისორების ლანა ღოღობერიძის და ელდარ შენგელაიას თანადგომით დავაარსეთ ფონდი **„ფიროსმანის უკვდავება“**. მისი ეგიდით გაიმართება კონკურსი ფიროსმანის თემაზე, რომლის დაჯილდოება შედგება 5 იანვარს ფიროსმანის მუზეუმში და გამოვლინდებიან **„ფიროსმანის ფუნჯის“ პრიზიორები.** ემბლემის შექმნაზე თვით ელდარ შენგელაიამ იმუშავა. სხვაც ბევრი ჩანაფიქრი გვაქვს. დიდი შესაძლებლობები აქვს დედოფლისწყაროს თავისი ეთნოგრაფიული კულტურული თუ ბუნებრივი კუთხით, რაც, აუცულებლად უნდა იქნეს გამოყენებული ტურიზმის თვალსაზრისით. ეს, რაიონის ცნობადობის ამაღლებასთან ერთად, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ეკონომიკურ წინსვლასაც... იმედია, ერთმანეთის მხარში დგომით და ძალისხმევით ყველაფერს მივაღწევთ,- თქვა ქალბატონმა დალიმ. მან მადლობა გადაუხადა მუზეუმის ყოფილ დირექტორს ანზორ მაძღარაშვილს იმ დიდი ღვაწლისათვის, რაც მან დასდო ფიროსმანის სახელის აღორძინებას და მისი შემოქმედების კვლევას.

სიტყვით გამოვიდა **კულტურის სამსხურის ყოფილი უფროსი** ნელი გოგეჯიშვილი, რომელმაც ამ დარგში თავისი ხანგრძლივი მუშაობის დროს ბევრი რამ გააკეთა, როგორც ზოგადად რაიონის კულტურულ ცხოვრებაში, აგრეთვე, ნიკო ფიროსმანაშვილის წარმოჩენის საქმეში.

- ფიროსმანი ეს ის თემაა, რომელსაც გვერდს აუღელვებლად ვერავინ აუვლის. ამიტომაა დღეს აქ ასეთი ამაღლებული განწყობა. აქ თავმოყრილი ფიროსმანის თაყვანისმცემლების, მოამაგეების და ნათესავების სახელით მინდა მადლობა ვუთხრა ნაზი სარჯველაძეს იდეისათვის და **მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს** თამარ თამაზაშვილს, **კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს** ილია მარტყოფლიშვილს ამ იდეის განხორციელების ხელშეწყობისა და ამ ლამაზი დღის ჩუქებისათვის.

(გაგრძელება გვ. 8)

პოლიტიკური თამაშები

„პოლიტიკა აერთიანებს ყველა იმ ძალისხმევას, რომლებიც მმართველობაში მონაწილეობას ან ხელისუფლების დანაწილებაზე გავლენის მოხდენას ემსახურება; აღნიშნული თანაბრად ვრცელდება როგორც სახელმწიფოთა შორის, ასევე, სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთობებზე.“

მაქს ვებერი

პოლიტიკა ბერძნული სიტყვების "პოლის" (ქალაქი-სახელმწიფო) და "techné" (მეცნიერება) ნაერთია და სახელმწიფოს მართვის მეცნიერებას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით, პოლიტიკა მოიცავს ყველა იმ იდეოლოგიას, სტრატეგიას თუ აქტივობას, რომლებიც სახელმწიფოს მართვასთან და ამ უკანასკნელის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობასთან არის კავშირში. მაკიაველის სიტყვებით "ყველაფერი პოლიტიკა არ არის, თუმცა პოლიტიკა ყველაფრით ინტერესდება." შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფოს ორგანოების მოწყობისა და ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებს, ქვეყნის საგარეო ურთიერთობას, თავდაცვის სტრატეგიებს და მრავალ სხვა საკითხს. პოლიტიკას ჰყავს თავისი მონაწილეებიც. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მათში პოლიტიკოსები იგულისხმებიან, რომლებიც მონაწილეობენ, ან სურთ, რომ მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში, მისი პრიორიტეტების განსაზღვრასა და შესრულებაში. როგორც წესი, პოლიტიკოსები ერთიანდებიან პოლიტიკურ პარტიებში ან საზოგადოებრივ მოძრაობებში, რომლებიც საკუთარ პროგრამებში განსაზღვრავენ სახელმწიფოს განვითარების მათეულ ხედვას.

პოლიტიკური იდეოლოგიები

ფართო გაგებით, პოლიტიკა მოიცავს ყველაფერს, რაც ნებისმიერი სოციალური წარმონაქმნის ორგანიზებისა და ფუნქციონირებისთვის პრინციპებისა და წესების დადგენას და მათი აღსრულების უზრუნველყოფას შეეხება. ამ საკითხების აღწერისა და სისტემატიზების შედეგად ყალიბდება პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც აღწერს სახელმწიფოს მართვისა და საზოგადოების მოწყობის სტილს, სახელმწიფოს/ხელისუფლებასა და ინდივიდს შორის ურთიერთობებსა და ურთიერთდამოკიდებულებას.

ზოგადად, პოლიტიკური იდეოლოგიების და მიმდინარეობების ნებისმიერი კლასიფიკაცია მხოლოდ პირობითია და ძირითად ტენდენციებს ასახავს. ტრადიციულად, პოლიტიკური იდეოლოგიები მემარჯვენე და მემარცხენე მიმდინარეობებად იყოფა, იმის მიხედვით, რომელი ფასეულობები (ტრადიციული თუ ნოვაციური) მიიჩნევა ქვეყნის წინსვლის და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიღწევის საუკეთესო საშუალებად. ისტორიულად, ტერმინები მემარცხენე-მემარჯვენე საფრანგეთის რევოლუციის (1789 წ.) შემდგომ პერიოდს უკავშირდება - ახლადფორმირებულ ეროვნულ ასამბლეაში (პარლამენტი), სამეფო ვეტოს თაობაზე დებატებისას, ვეტოს მომხრეები - დიდგვაროვნები და ეკლესიის წარმომადგენლები, დარბაზის მარჯვნივ, ხოლო მოწინააღმდეგეები - ბურჟუაზიის წარმომადგენლები, მარცხნივ იყვნენ განლაგებულები.

მემარჯვენე მიმდინარეობა ეროვნული, ტრადიციული ფასეულობების ირგვლივ კონცენტრირდება და შესაბამისად, უფრო კონსერვატიულია. მემარჯვენეები მხარს უჭერენ ძლიერ სახელმწიფოს, რომლის ქვაკუთხედსაც მორალური ფასეულობები, მართლწესრიგის დაცვა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს.

მემარცხენე იდეოლოგიები, კლასიკური გაგებით, სოციალურ სამართლიანობაზე არის დაფუძნებული და ძირითად ფასეულობებად სოციალურ თანასწორობას, სოლიდარობას და პროგრესულობას აღიარებს.

პოლიტიკური აზროვნებისა და დოქტრინების განვითარებასთან ერთად, ხშირია სხვადასხვა იდეოლოგიების გადაკვეთა ან მათგან აღებული ელემენტების გაერთიანება ახალ პოლიტიკურ მიმდინარეობებად, რომლებიც ხშირად ცენტრისტულად მოიხსენიება, ვინაიდან ერთგვარად აერთიანებს და აბალანსებს კონსერვატორებისა და ლიბერალების მისწრაფებებს და ფასეულობებს.

რაც შეეხება კონკრეტულ პოლიტიკურ იდეოლოგიებს, ისინი იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მხოლოდ ძირითად, ყველაზე გავრცელებულ და პოპულარულ იდეოლოგიებს გთავაზობთ:

ლიბერალიზმი თავისუფლებისა და თანასწორობის იდეაზე დაფუძნებული პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომელშიც სახელმწიფოს მამოძრავებელ ძალად ადამიანის თავისუფალი ნება და საზოგადოების ყოველი წევრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მიიჩნევა. ლიბერალური იდეოლოგია აღიარებს და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, ღიაა ყველანაირი პროგრესული სიახლისა და რეფორმებისათვის, რის გამოც ლიბერალურ იდეოლოგიას, ტრადიციულად, კონსერვატიზმს უპირისპირებენ ხოლმე. ლიბერალური იდეოლოგიის მიხედვით, სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩაერიოს ინდივიდების ყოფაში და მხოლოდ ის სფეროები განაგოს, რომელთა მოწესრიგებაც ინდივიდებს არ შეუძლიათ.ლიბერალიზმი, წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, სოციალისტურ იდეოლოგიას გავს, თუმცა მთავარი და ძალიან მნიშვნელოვანი განმასხვავებელი მათ შორის კერძო საკუთრებასა და უთანასწორობების აღმოფხვრის გზებშია. ლიბერალიზმის, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის გვერდით ხშირად მოიხსენიება ლიბერალური, იგივე საბაზრო ეკონომიკა, რომელიც კერძო საკუთრებასა და წარმოებაში სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევაზე აპელირებს, რაც რადიკალურად განსხვავდება სოციალისტური მიდგომებისგან. ლიბერალისტური იდეოლოგია ხშირად დემოკრატიულ სახელმწიფოებს უდევს საფუძვლად.

კონსერვატიზმი ტრადიციულად მემარჯვენეობასთან ასოცირდება და ძველი, ტრადიციული ფასეულობების პატივისცემას უსვამს ხაზს. შესაბამისად, კონსერვატორები ფრთხილად ეკიდებიან ან საერთოდ უარყოფენ რადიკალური რეფორმების გზას. კონსერვატორები მიიჩნევენ, რომ სოციალური უთანასწორობა ბუნებრივი მოვლენაა და მისი სრული აღმოფხვრა, უბრალოდ, შეუძლებელია. კონსერვატორებისთვის კერძო საკუთრება წმინდაა და სახელმწიფოს მხრიდან მასში რაიმე გზით ჩარევა ან მისი შეზღუდვა კატასტროფის ტოლფასია. ამაში კონსერვატიზმი სოციალისტურ იდეოლოგიას უპირისპირდება. კონსერვატიზმი, ლიბერალიზმის მსგავსად, არ ეწინააღმდეგება და არ უარყოფს ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, თუმცა, ლიბერალიზმისგან განსხვავებით, პიროვნების თავისუფალი ნებისა და ინდივიდუალური თავისუფლებების წინ ძლიერ სახელმწიფოს აყენებს და პრიორიტეტად უსაფრთხოებასა და წესრიგს მიიჩნევს.

სოციალიზმი საკმაოდ გავრცელებული, ტიპიური მემარცხენე პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომლის მთავარ საყრდენს სოციალური თანასწორობის, უფრო ზუსტად კი უთანასწორობის მაქსიმალურად შემცირების იდეა წარმოადგენს. სოციალისტური იდეოლოგიის მიმდევრების აზრით, სახელმწიფომ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გასწიოს ადამიანებს შორის სოციალური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და ამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე დაეხმაროს სოციალურად დაუცველებს და უმუშევრებს. სოციალიზმი არ ეწინააღმდეგება კერძო საკუთრებას, თუმცა მიიჩნევს, რომ კეთილდღეობის საწყისი მაინც სახელმწიფო საკუთრებაზე და სახელმწიფოს ეკონომიკურ რეგულაციებზე გადის. ეს მიდგომა რადიკალურად ეწინააღმდეგება ლიბერალური ეკონომიკის იდეებს. როგორც არაერთი ავტორი აღნიშნავს, ერთი შეხედვით, სოციალიზმის მისწრაფება თანასწორობისა და ყველას კეთილდღეობისკენ მიმზიდველად შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა არაერთი სახელმწიფოს მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფოს ჩარევა მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში წყვეტს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, ვინაიდან საერთო ფულის (ბიუჯეტის) ხარჯზე დახმარებების გაცემა და ამა თუ იმ ეკონომიკური საქმიანობის რეგულარული ხელშეწყობა, საბოლოოდ, სიღარიბის დაძლევაზე მეტად, სოციალური დახმარებებისთვის აუცილებელი გაზრდილი გადასახადების გამო, საშუალო ფენების გაღარიბებას უფრო უწყობს ხელს.



ფაშიზმი რადიკალურად მემარჯვენე, ტოტალიტარულ-ნაციონალისტური იდეოლოგიაა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს აღმოცენდა იტალიაში და თავის აპოგეას მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში მიაღწია. ფაშიზმის იდეოლოგია რასობრივ და/ან ეროვნულ უპირატესობას ემყარება. ფაშისტები მიიჩნევენ, რომ ერი უნდა გაერთიანდეს საკუთარი თვითმყოფადობის, ტრადიციების და სიწმინდის დასაცავად და ერთად აღუდგეს წინ "მტერს", რომელსაც ამ თვითმყოფადობის განადგურება სურს. საბოლოო ჯამში, ფაშისტური იდეოლოგია დაიყვანება ფორმამდე, სადაც ფსევდოპატრიოტული ლოზუნგების მეშვეობით და წარმოსახვითი "მტრების" წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით იზღუდება ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, იდევნება ყველა განსხვავებული შეხედულებების ან წარმომავლობის ადამიანი.

კომუნიზმი რადიკალურად მემარცხენე პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომელიც სოციალიზმის ერთგვარ ექსტრემალურ გაგრძელებას წარმოადგენს და რომლის მიზანიც სოციალური უთანასწორობის საბოლოო აღმოფხვრაა. კომუნიზმი ეწინააღმდეგება ნებისმიერი კერძო საკუთრების იდეას, უარყოფს მემკვიდრეობას და ტრადიციებს. კომუნისტური იდეოლოგია, ერთი შეხედვით, თანასწორობისა და ჩაგვრის აღმოფხვრისკენ არის ორიენტირებული, თუმცა მისი რადიკალიზმისა და ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო იდეების გამო, რეალობაში, ადამიანის უფლებების ხელყოფისა და თავისუფალი აზრის ჩახშობისკენ ორიენტირებულ, ტოტალიტარული სახელმწიფოების იდეოლოგიად გვევლინება.

ანარქიზმი უტოპიური იდეოლოგიაა, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ხელისუფლება გულისხმობს ინდივიდზე ძალადობას, რის გამოც ანარქისტებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლება, როგორც ასეთი, საერთოდ უნდა გაუქმდეს. ანარქისტული იდეოლოგიის მიხედვით, ადამიანები თვითორგანიზებულ ჯგუფებში უნდა ცხოვრობდნენ, სადაც გადაწყვეტილების მიღება ინდივიდის თავისუფალ ნებაზე იქნება დამოკიდებული. ანარქიზმი უტოპიურია, ვინაიდან მისი იდეოლოგიის ხორცის შესხმა რეალობაში წარმოუდგენელი და შეუძლებელია.

და რა იდეოლოგიით ვსაზრდოობთ დღეს ჩვენ?

სამწუხაროდ, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, ისე ახლაც, ვიცით, რა გვსურს, ოღონდ, წარმოდგენა არ გვაქვს, თუ რა გზით მივაღწიოთ მიზანს. არ აღორძინდა ქვეყნის ეკონომიკა და არც მოსახლეობა გააქტიურებულა სოციალურად, პირიქით, თვალში საცემია დაბნეულობა და უიმედობა.ყოველივე ამის შედეგად კი, მივიღეთ დღევანდელი მდგომარეობა: მოსახლეობის 10% მდიდარი და 90% უკიდურესად გაღატაკებული. ასეთი დიფერენციაცია დამღუპველია სახელმწიფოსათვის, რადგან არცერთი ამ ორიდან მის დასაყრდენად არ გამოდგება: პირველები იმიტომ, რომ მათი სიმდიდრე, უმეტესწილად, არაკანონიერი გზით არის შეძენილი, ამასთან, საყოველთაო სიღატაკის პირობებში, ერთი მუჭა მდიდრები ყოველთვის სიძულვილით სარგებლობენ და უფრო თავდაცვასა და საკუთარი ქონების გადარჩენაზე ფიქრობენ, ვიდრე ქვეყნის აღმშენებლობაზე. ამ წრიდან გამოსულთ, მაქსიმუმი, რაც შეუძლიათ, ის არის, რომ ეცადონ რაღაც, ფინანსური ოლიგარქიის ბატონობის მსგავსი, დაამყარონ; ეს კი, დაასამარებს ჩვენში დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეას. მეორენი კი, იმიტომ, რომ სიმბოლურ ხელფასზე ან პენსიაზე მყოფნი, სოციალურად დაუცველნი, იძულებით პასიურნი არიან; ისინი გაუთავებლივ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ გამოიკვებონ თავი, ყიდიან საკუთარ ნივთებს, სახლ-კარს, ან კიდევ, ათას რამეს უნდა მოჰკიდონ ხელი, - უმთავრესად კი სპეკულაციას, - რათა ლუკმა-პური იშოვონ. ცუდად ორგანიზებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამო მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა განიცდის ლუმპენიზაციის (მოსახლეობაში ლუმპენ-პროლეტარების წილის გაზრდა და მათთვის დამახასიათებელი განწყობის გავრცელება, რაც წარმოადგენს ფაშიზმის, კომუნიზმის, ნაციონალიზმის და რელიგიური ფუნდამენტალიზმის გავრცელების ხელისშემწყობ პირობას, პროცესს...) გაუსაძლის მდგომარეობას სხვადასხვაგვარად აღწევენ თავს: ერთნი მოთმინებით იტანენ აუტანელ ყოფას, სხვანი, - გაქცევას ცდილობენ. უზარმაზარი მასშტაბები მიიღო ემიგრაციამ, ხალხი საზღვარგარეთ ცდილობს ნორმალური პირობების ძებნას, უმეტესობა იქ დროებითი სამუშაოს საძებნელად მიემგზავრება, მაგრამ თუ ჩვენთან მდგომარეობა არ შეიცვალა, მათი დიდი ნაწილი, ალბათ, არც დაბრუნდება სამშობლოში... მრავალი ჩვენი თანამემამულე შინ და გარეთ დაუშვებელი გზით მოქმედებს და ასე სურს მის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარება.

ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალი იმის გაცნობიერებაშია, რომ, აუცილებელია ეროვნული იდეის გააზრება, რომლის შემადგენელი ნაწილიც სოციალური ფორმაციის შეცვლის გაზრებული გეგმა იქნება, რის შედეგადაც ქვეყნის მოსახლეობას მიეცემა ის სამოქმედო პროგრამა, რომელიც მიზანდასახული და შედეგიანი მოქმედების საშუალებას მისცემს.ეს პრობლემა მაშინ მოგვარდება, როცა იგი იქცევა ეროვნული იდეის შემადგენელ ნაწილად და ყველა გაითავისებს მას.რაც შეეხება გლობალიზაციას, ის გაგებული უნდა იქნას, როგორც საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით დაცული სიტყვის თავისუფლება; პიროვნული, მოქალაქეობრივი და ეროვნული ღირსების გრძნობა და ადამიანის სხვა უფლებები. მიღწეულ უნდა იქნეს ცხოვრების მაღალი დონე, პირობები უნდა შეექმნას ადამიანს, რათა შესაძლებლობათა რეალიზება შეძლოს, ხელი უნდა შეეწყოს კულტურის განვითარებას, ეროვნული თვითმყოფადობისა და რელიგიური თავისთავადობის შენარჩუნებას. ხოლო, კარგად ორგანიზებული სახელმწიფო ყველა სიკეთისა და უსაფრთხოების გარანტი უნდა იყოს.

მოამზადა ხათუნა ბენაშვილმა

აქცია – „არა სიგარეტს!“

თამბაქოს მომხარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და, ამავდროულად , პრევენტირებადი პრობლემაა მსოფლიოში. თამბაქოს მოხმარება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, კიბოს, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებებისა და დიაბეტის ძირითადი რისკ-ფაქტორია; იგი მნიშვნელოვნად ამწვავებს ასთმის შეტევებს ბავშვებში. ამ დაავადებებს უკავშირდება სიკვდილის შემთხვევების დაახლოებით 60% მსოფლიოში, 85% ევროპაში და 94% საქართველოში. სიკვდილის ყოველი 8 ძირითადი მიზეზიდან 6 ასოცირებულია თამბაქოს მოხმარებასთან. მსოფლიოში თამბაქოს უკავშირდება სიკვდილის შემთხვევების დაახლოებით 10%; საქართველოში კი სიტუაცია ამ მიმართულებით ბევრად უფრო ტრაგიკულია – ეს მაჩვენებელი 22%-ს აღწევს.

ზრდასრული მოსახლეობის 30% არის მწეველი. მათგან მამაკაცთა 55%, ქალების მხოლოდ 5% აღიარებს, რომ არის მწეველი. რეალურად, ექსპერტთა შეფასებით, გაცილებით მეტია მათი რაოდენობა. სამწუხაროდ, მწეველია 16 წლის მოზარდთა 18%, რაც ძალიან დიდი ციფრია და, სამწუხაროდ, მოწევას იწყებენ 13 და უფრო მცირე ასაკიდან.

მომავალი თაობის სიცოცხლის გადასარჩენად და მათი ჯანმრთელობის უფლების უზრუნველსაყოფად საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის მიერ 2017 წლის მაისში დამტკიცდა ახალი კანონპროექტები.

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის, მარიეტა გონაშვილის ინიციატივით, დედოფლისწყაროს რაიონში, 30 სექტემბერს გაიმართა აქცია „მოწევა მავნებელია“. აქციაში მონაწილეობდნენ სკოლის მოსწავლეები. მათ სიგარეტის ნამწვისგან დაასუფთავეს სკოლის წინ არსებული „თამარ მეფის“ სახელობის ბაღი.

„2017 წლის მაისიდან შემოსულია კანონი სიგარეტის აკრძალვასთან დაკავშირებით. კანონში ზუსტად არის გაწერილი, სად შეიძლება მოწევა და სად არის აკრძალული. ძირითადად დახურულ შენობებში არის აკრძალული მოწევა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენთან, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, ჩამოეშვა პროგრამა მეორადი კვამლის მავნებლობაზე. ჩვენი აქციაც ემსახურება იმ მიზანს, რომ ავიცილოთ მეორადი კვამლის ნეგატიური ზემოქმედება. ამ პროგრამით, ერთი წლის განმავლობაში, ჩვენი სამიზნე არის პირველი საშუალო სკოლა, რადგან უფროსკლასელები ხშირად მოდიან ამ ბაღში და აქ ეწევიან სიგარეტს. ჩვენი მიზანია, ერთი წლის განმავლობაში ეს ადგილი გავხადოთ სიგარეტისაგან დამოუკიდებელ ზონად. რადგან ჩვენი სამიზნე არის პირველი საჯარო და ვახტანგ გორგასალის სახელობის საპატრიარქო სკოლა, ამიტომ, ჯობია, ბიჭები ჩავრთოთ, ძირითადად, უფროსკლასელები, მათ დაალაგონ და დაასუფთაონ სიგარეტის ნამწვავებისგან ტერიტორია. თანდათან ადამიანები გააცნობიერებენ იმას, რომ არა მხოლოდ მწეველისთვისაა სიგარეტის კვამლი მავნებელი, არამედ მათი გარშემომყოფი ადამიანებისთვისაც. ჩვენი აქციის მიზანიც სწორედ ამის გაცნობიერებაა. “- აღნიშნა ჩვენთან საუბარში მარიეტა გონაშვილმა.

ვანიკო ჩონგურაშვილი, №1 საჯარო სკოლის მოსწავლე – დღეს ჩვენ ვართ“ თამარ მეფის“ სახელობის ბაღში აქციაზე- „არა სიგარეტს!“ ვასუფთავებთ ნამწვავებისგან ტერიტორიას. ჩვენს გარშემო ბევრი მწეველია, შეძლებისდაგვარად ავუხსნი მათ, რომ მოწევა მავნებელია არა მხოლოდ მათთვის, არამედ მათ გარშემომყოფებისთვისაც.“

ანა მოდებაძე, მე-10 კლასის მოსწავლე. – „მიუხედავად იმისა, რომ იციან სიგარეტის მავნებლობის შესახებ, ამ ბაღს ბევრი მწეველი სტუმრობს და ყველაზე მეტადაა დაბინძურებული. მომწონს ეს აქცია. კარგია, რომ დასუფთავდება ეს ბაღი და იმედი მაქვს, შემდეგში მოუფრთხილდებიან და აღარ დაანაგვიანებენ. “

ანი ქადაგიძ, მე-10 კლასის მოსწავლე. –ძალიან მომწონს ეს პროექტი, რადგან გვაქვს საშუალება, დავასუფთაოთ ბაღი და მოვუწოდებთ ყველას, გაუფრთხილდნენ და აღარ დაანაგვიანონ ეს ადგილი სიგარეტის ნარჩენებით.

შორენა ღვინიაშვილი, №1 საჯარო სკოლის ექიმი. – „დღევანდელი ჩვენი აქციის მიზანია გავათავისუფლოთ სიგარეტის ნარჩენებისგან ეს ტერიტორია. ეს იქნება შესანიშნავი მაგალითი ახალგაზრდებისთვის, რომ გაუფრთხილდნენ ჩვენს საარსებო გარემოს. მოსწავლეები საკმაოდ აქტიურად ჩაერთნენ ამ აქციაში და ძალიან მიხარია. ეს არის ჯანმრთელი ცხოვრების აქტიური პროპაგანდა.“

ჩვენც ვუერთდებით აქციის მონაწილეთა სულისკვეთებას და იმედი გვაქვს, მომავალი თაობა გაითვალისწინებს თამბაქოს მოწევით გამოწვეულ საავალალო შედეგებს და უარს იტყვის ამ მავნე ჩვევაზე. ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით. გავუფრთხილდეთ ჩვენს და გარშემომყოფთა ჯანმრთელობას.

მოამზადა ხათუნა ბენაშვილმა

ახალგაზრდობიდანვე ვიზრუნოთ ღირსეულ სიბერეზე...

1 ოქტომბერს ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე აღინიშნა. ეს დღე მსოფლიოში 1990 წელს დაწესდა და მას საქართველო 2003 წლიდან შეუერთდა. იგი ზარ-ზეიმით აღინიშნება მსოფლიოში, ყველაზე მეტად კი სკანდინავიის ქვეყნებში.

რთულია, წარმოვიდგინოთ, რომ აუცილებლად მოვა დრო, როდესაც ჩვენც შევაბიჯებთ ცხოვრების ყველაზე აუჩქარებლად ასავლელ საფეხურებზე, რომელთაც წარსულის ნოსტალგიით, ტკბილ-მწარე მოგონებებით ავივლით....ამას სიბერე ჰქვია და დამეთანხმებით ალბათ, რომ ახალგაზრდობაში არც ერთი ჩვენგანი არ ვცდილობთ, დიდხანს ვიფიქროთ ბუნების ამ კანონზომიერებაზე.

ცხოვრება რთული ფენომენია, არავინ უწყის, რა გველოდება ხვალ... თუმცა, „მეფეც“ და „პაიკიც“ საბოლოოდ ერთ ბედს ქვეშ ხვდებიან, ამას თავად ცხოვრებისეული მაგალითები არაერთგზის ამტკიცებს... მარტოხელა, უმწეო ადამიანებთან ურთიერთობა ამაში ხშირად გვარწმუნებს, ბევრი მათგანი, ხანგრძლივი კეთილდღეობის მერე დროს ისე გადაუთელავს, პაიკისოდენა ძალაც აღარ შერჩენია და დარჩენილ წლებში მხოლოდ უიმედობას, მხოლოდ უძლურებას ხედავს.

რედაქცია ხშირად სტუმრობს სხვადასხვა დღესასწაულებზე დედოფლისწყაროს სათნოების სახლს, ამჯერადაც გადავწყვიტეთ, აქაურ მოხუცებს და მათშორის, მარტოხელა ქალბატონებს შევხვედროდით, მოგვესმინა მათი სიხარულის და წუხილის შესახებ, უფრო მეტი გაგვეგო მათი ხანდაზმული ცხოვრების ხარისხზე, მათ ადამიანურ რესურზე...

სათნოების სახლი „სავანე“ ორასზე მეტ ბენეფიციარს აერთიანებს, მათი უმრავლესობა მარტოხელა, უმწეო, უსახლკარო მოხუცია, თუმცა, სოციალურად დაუცველ ახალგაზრდათა ნაკლებობასაც არ „უჩივიან“. სანამ ჩვენი დღევანდელი სტუმრების ცხოვრების მოკლე ისტორიას გადავავლებთ თვალს, მანამდე ვიტყვი, რომ ძალიან ბევრ მოხუცს ვიცნობ, ხალხმრავალ ოჯახებში მცხოვრებს, რომლებსაც არც მზრუნველობა აკლიათ და არც სითბო, მაგრამ მაინც უჩივიან სიბერეს თუ არსებულ ყოფას, რაც კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ უმრავლეს ადამიანთა ხანდაზმულობის ხარისხი მათ ხასიათზეა დიდწილად დამოკიდებული, რაც ჩემთვის ასე გამოიყურება- ვარ ხალისიანი ახალგაზრდა? ვიქნები, შეძლებისდაგვარად, ხალისიანი მოხუცი! მაქვს ნაპოვნი ჩემი ადგილი ახალგაზრდობაში? მას არასოდეს დავკარგავ სიბერეში!

თებრო ზურიკაშვილი, **90 წლის** – ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, ომის ვეტერანი მეუღლე დიდი ხნის წინ გარდამეცვალა, მას შემდეგ მარტო ვცხოვრობ, ე.წ. ხევსურების წყაროსკენ, იქიდან ყოველდღე მარტო ამოვდივარ სასადილოდ, მერე კვლავ ფეხით უკან ვბრუნდები, გიკვირთ? მაგრამ, სხვა არჩევანი მაქვს? არითმია მაწუხებს, სტენტირება მაქვს გაკეთებული, ძვირდღირებული ნამლები მჭირდება და სულ ჩემი პენსიით ვყიდულობ, დახმარებასაც ვიღებ, მაგრამ, აქ რომ არ ვიარო საკვებად, ნამდვილად არ მეყოფა ყველაფერში ჩემი შემოსავალი, დისშვილები მყავს, აქ არ ცხოვრობენ, თუმცა, დიდ ყურადღებას მაქცევენ, მე მაინც ჩემს სახლში ცხოვრება მირჩევნია, ვერავის ვერსად ვერ გავყვები საცხოვრებლად, სადაც დავბერდი, იქ უნდა ვიყო სიცოცხლის ბოლომდე. ყოველ დილა ღმერთს მადლობას ვუხდი ყოველი გათენებული დღისთვის. ჩემი მშობლებიც გვიან გარდაიცვალნენ, 9 ათეულს გადაცილებულები იყვნენ და მგონია, რომ გენეტიკური ფაქტორიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასა და მისი ცხოვრების ხარისხზე- გვიამბობს ქალბატონი თებრო და სასიამოვნოდ გაოცებულს გვტოვებს როგორც ფიზიკური, ასევე საღი გონებრივი შესაძლებლობებით.

რუიზან ფიროსმანაშვილი, **85 წლის** – ხუთი და-ძმა ვიყავით ოჯახში, ახლა უსინათლო დას ვუვლი, თავად მარტოხელა ვარ, ვერ ვიტყვი, რომ ადვილია ჩემნაირი ქალის ცხოვრება, მაგრამ, ვუმკლავდები ყველაფერს. ჩემი დისშვილების და ძმისშვილების კარგად ყოფნაზე ფიქრში ვათენებ და ვაღამებ, პატარა ბოსტანს ვუვლი, ექიმი და წამალი მე არ ვიცი რა არის, არც საავადმყოფოს გზა, საერთოდ არ მქონია ჯანმრთელობის პრობლემა დღემდე. ძალიან მიყვარს სათნოების სახლში სიარული, აქ ყოველთვის თბილი გარემოა, გოგოები თან გვყვებიან, ჩვენმა უფროსმა მარინა ტოკლიკიშვილმა სულ ზეპირად იცის, თითოეულ ჩვენთაგანს რა გვიჭირს, რა გვილხინს და გვერდში გვიდგას. ხშირად გვიწყობენ ღონისძიებებს, არ გვაკლებენ ცეკვა-სიმღერა-ლექსებს ჩვენი რაიონის ახალგაზრდები და გვიხალისებენ ცხოვრებას. ყოველ დილა საათს ვუყურებ, რომ აქ არ დამაგვიანდეს, შეიძლება სადილი არც მინდოდეს ზოგჯერ, მაგრამ ძალიან კარგად ვერთობით და ვხალისობთ.

ძვირფასო მკითხველო, როგორც მიხვდით, უფასო სასადილო ბენეფიციართათვის დიდი შვებაა. მაგრამ, სადაც მოხუცთა თავშესაფრებია, უმრავლესობას არ გააჩნია მთავარი - ოჯახური სითბო, მათ თითოეულ სიტყვაში ხშირად უიმედობა, მომავლის შიში იკითხება, ეს ადამიანები საზოგადოების მხარდაჭერას საჭიროებენ, მათთვის პირველადი გარემოს ჩამოყალიბება ყველაზე მნიშვნელოვანია. უნდა შევთანხმდეთ, რომ დღეს ქვეყანაში მოხუცთა თავშესაფარი აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ იქ ცხოვრება მავანთათვის იძულება არ უნდა იყოს. ასეთი სახლები, ძირითადად, მარტოხელა, უმწეო მოხუცებზე უნდა ზრუნავდნენ და იქ ხანდაზმულები შეძლებულ შვილებს არ უნდა მიჰყავდეთ ... თუმცა , გადავხედოთ ამ კუთხით ევროპულ მაგალითს, სადაც მოხუცების უმრავლესობა მოხუცთა სახლებს საკუთარი სურვილით აკითხავს, ჩვენთან კი ეს „პატრონიანი“ ხანდაზმულისთვის უკიდურესად სამარცხვინო საქმედ ითვლება... გასაგებია და უნდა დავეთანხმოთ ზემოთ მოყვანილ რესპოდენტთა მოსაზრებებს, რომ ადამიანი საკუთარ ჭერქვეშ უნდა დაბერდეს, მაგრამ ინდივიდუალური მიდგომაა ხშირ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი.

ბოლო წლებში ინსტიტუციონალიზაციის ფეხდაფეხ, მოხუცთა თავშესაფარებმა, (კლასიკურად ჩვენ რაც გვახსოვდა, ე.წ. დიდი შენობა და ბევრი მოხუცი ერთად,) დაკარგა უპირატესობა და ოჯახური ტიპის კერძო თავშესაფრებს მიენიჭა პრივილეგია, პერსპექტივაში, სავარაუდოდ, ეს დიდი ზომის თავშესაფრები უნდა გაუქმდეს. მათ ნაცვლად იფუნქციონირებს სათემო ორგანიზაციები, სადაც ოჯახურ გარემოში ცხოვრობენ მოხუცები, მაქსიმუმ 15 ერთად.

ბოლო მონაცემების მიხედვით, მიუხედავად ე.წ. „მოხუცთა თავშესაფრების“ არაპოპულარულობისა, თბილისის ხანდაზმულთა სახლში ადგილები მთლიანად შევსებულია და მიღება შეჩერებულია. ადგილების სიმცირის გამო, ბენეფიციარების მიღება პრობლემურია ფასიან დაწესებულებებშიც,სადაც ხანდაზმულის ერთთვიანი ცხოვრება საშუალოდ 500-700 ლარამდე მერყეობს (ფასს მოხუცის ჯანმრთელობის მდგომარეობა განსაზღვრავს), ბაზრის მოთხოვნა კი ამ მიმართულებით მზარდია, ძირითადად საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ჩვენი მოქალაქეების გამო.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში გარკვეული ნაბიჯების გადადგმისა ამ მიმართულებით, ეს აბსოლუტურად არასაკმარისია საიმისოდ, რომ მოხუცებმა ღირსეულად იცხოვრონ. მათი ღვაწლი სათანადოდ არ არის აღიარებული და უმეტეს შემთხვევაში, ხანდაზმულთა პოტენციალიც არარეალიზებულია. ჩვენს საზოგადოებაში ხშირია მოხუცების სტიგმატიზება, ოჯახური ძალადობის ფაქტები და სხვა. სწორედ ამიტომ, პირველ ოქტომბერსაც და სხვა დღეებშიც ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ გავხადოთ ჩვენი ხანდაზმულები მეტად დაცული და სოციალურად რეალიზებული, როგორ მოვახდინოთ მათი ნიჭისა და წვლილის აღიარება , მათი ინტეგრირების უზრუნველყოფა და ამ ჩართულობისთვის სათანადო სივრცის შექმნა, რადგან სიბერე ყველას წინ გველოდება და ჩვენი ღირსეული სიბერის გასაღებიც დღეს ჩვენს ხელთაა, როგორ ვიზრუნებთ ჩვენს მომავალზე, ჩვენზეა დამოკიდებული.

ელზა ხარაშვილი

რითი ჰგავს ევროპის კავშირი საბჭოთას?

(მესამე გვერდიდან)

კი უამრავი უპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია. როგორც საჯარო არჩევანის თეორეტიკოსები განმარტავენ, სარგებელი კონკრეტული პირებისაა, ხოლო პასუხისმგებლობა — ბუნდოვანი და გაფანტული. პოლიტიკოსებისთვის განსაკუთრებით მარტივია სახელმწიფო ვალების აღება: სარგებელი სწრაფია, გადახდა მომავალში იქნება საჭირო და, სავარაუდოდ, ამის გაკეთება სხვას მოუწევს, ხოლო პასუხისმგებლობა ნულოვანი გახლავთ — ყველას ხომ არ დასჯიან?

კოლექტიურობისკენ გადახრამ ევროპა ბიუროკრატიის ბატონობამდე მიიყვანა და პოლიტიკოსები ამის გარეშე უკვე უსუსურები არიან. სხვა თუ არაფერი, საკუთარი შეცდომები ვის უნდა გადააბრალონ?! რასაკვირველია, ბიუროკრატიასაც ურჩევნია ასეთი უპასუხისმგებლო „უფროსის" არსებობა. ჯამში კი, ერთსაც და მეორესაც უყვართ სახელმწიფო და მისი საქმიანობის გამართლებას ყველანაირად ცდილობენ დაგეგმვის, ორგანიზების, მართვის, ჩარევის და რეგულირების აუცილებლობით — აბა, რისი სახელმწიფო/მთავრობაა, თუ ყველაფერზე პასუხისმგებლობა არ იკისრა? ყოველივე ეს სხვანაირად ასე ჟღერს — სახელმწიფო სწორედ იმისთვისაა, რომ ჩვენს ნაცვლად იფიქროს, გადაწყვიტოს, დაგეგმოს და გააკეთოს — როგორც ფრიდრიხ ჰაიეკი ამბობდა: „რაც უფრო მეტს გეგმავს სახელმწიფო, მით უფრო რთულდება ინდივიდის მიერ დაგეგმვა".

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთ-ერთი პირველი სიურპრიზი ის იყო, რომ დასავლეთი დიდი ენთუზიაზმით გადაერთო ცენტრალურ სახელმწიფო დაგეგმვაზე. მეტიც, თუ ყოფილი საბჭოელებისგან არ გვიკვირს, რომ მთავრობა ეკონომიკის მარეგულირებლად, ბიუჯეტი — ეკონომიკის სინონიმად, ხოლო პრემიერი/პრეზიდენტი ეკონომიკის დირექტორად მიაჩნდეთ, დასავლეთ ევროპისა თუ ამერიკისგან, გამოვტყდები, ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდი. შემდგომში კიდევ არაერთხელ დავრწმუნდი, რომ ევროპა ბევრ რამეში ძალიან ჰგავს წყეულ საბჭოთა კავშირს.

ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1998 წელს, საფრანგეთის სენატში ევროს შესახებ დისკუსიაზე ვასაბუთებდი, რამდენად ცუდად მუშაობდა საერთო ვალუტა საბჭოთა კავშირში. ფულის თეორიაში გაუთვითცნობიერებელი მკითხველისთვის ვიტყვი, რომ ფული (და არა ოქრო ან ვერცხლი), თუ ის სახელმწიფოს მიერაა დაბეჭდილი, მთავრობისადმი ნდობაზე და მის პოლიტიკაზეა დამოკიდებული, რამდენად ბევრს გამოუშვებს მიმოქცევაში.

ფულის სიმყარე და კონვერტაციის უნარი სხვა უცხოურ ვალუტებში ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეიძლება ამ ფულით ქვეყანაში იყიდო. ამიტომ ეკონომიკის ქცევა, მისი პროდუქციის საექსპორტო კონკურენტუნარიანობა სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყნის ფულზე (ეს არ ეხება ოქროს ფულს). სწორედ ამიტომაა საერთო ვალუტა ასეთი პრობლემატური: ამ შემთხვევაში ფულს დამატებითი ფუნქცია უჩნდება — დოვლათის გადანაწილების, ანუ სუბსიდირების. მაგალითად, საბჭოთა კავშირის შემთხვევაში, საბჭოთა რუბლს ზურგს ფაქტობრივად მხოლოდ მისი ბუნებრივი რესურსები უმაგრებდა. კავშირში შემავალი ის რესპუბლიკები, რომლებიც ვერაფერს ჰმატებდნენ საექსპორტო პოტენციალს, სუბსიდირებულნი იყვნენ სხვებისგან (თუმცა, ზოგჯერ ვხვდებოდით უკუ-სუბსიდირების შემთხვევებს, მაგალითად, ფასების ხელოვნურ სისტემას). ანალოგიურ სურათს დღევანდელ ევროკავშირშიც ადვილად შენიშნავთ. ევროს საშუალებით, წარმატებული გერმანელები სუბსიდირებას უკეთებენ ბერძნებს, პორტუგალიელებს და სხვებს. ამ შემთხვევაში ევროს გერმანიის კონკურენტუნარიანი ეკონომიკა უწევს მხარდაჭერას. საბჭოთა კავშირში სუბსიდირების მიზანი იყო ქვეყნის პოლიტიკური კავშირის შენარჩუნება — სუბსიდირების უარყოფა კი დიდ იმპულსს მისცემდა მის დაშლას. დღევანდელ ევროპაში ამას სოლიდარობის მიზეზით ამართლებენ, თუმცა ცხადია, რომ ყველას ევროპული კავშირის დაშლის შიში აქვს. ხოლო თუ ევროკავშირის დაშლა ასეთი მარტივია, ისიც ცხადი ხდება, რომ მისი ხელოვნური შენარჩუნება იქ მცხოვრებლებს ძალიან ძვირი უჯდებათ. აქ ასეთი სიტუაციაა — ან ევრო, ანუ საერთო ვალუტა და ეკონომიკური მხარდაჭერა სუსტებს, ან ყველა თავისთვის.

ჯერ კიდევ ორი წლის წინ იყო ცხადი, რომ საბერძნეთის „დახმარებას" მხოლოდ მისი პრობლემების გადაწყვეტის გადავადება მოჰყვებოდა, მაგრამ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, პრობლემის მიზეზების მკურნალობას მისი დროებით გაუტკივარება არჩიეს. ახლა ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზად ფისკალური ცენტრალიზაციისკენ სწრაფი მოძრაობაა მიჩნეული, რაც ყოფილ საბჭოელებს ასევე კარგად გვახსოვს.

საბჭოთა კავშირი დახურული ეკონომიკური სივრცე იყო, რადგან ის მხოლოდ საკუთარ სატელიტებთან ვაჭრობდა. ეს მას (როგორც იქ ეგონათ) საკუთარი ეკონომიკის დასაცავად სჭირდებოდა და მრავალ პროპაგანდისტულ მეთოდს იყენებდა ამის გასამართლებლად — ზოგჯერ ეს ანტიბურჟუაზიული იდეოლოგიით ხდებოდა, ზოგჯერ კი დასავლეთის შეთქმულების თეორიების მომიზეზებით.

დღეს განვითარებული ქვეყნებიც ხშირად სარგებლობენ პროტექციონიზმის პოლიტიკით. ხანდახან ეს ხერხი ისეთი ქვეყნის დასასჯელადაც გამოიყენება, რომელიც საერთაშორისო წესებს არღვევს. ისიც ფაქტია, რომ ამ მეთოდებს ხშირად პოლიტიკური მიზნებით იყენებენ — ნახეთ, როგორ ექცევა დღემდე რუსეთი საქართველოს. მაგრამ თუ ეს არ გვიკვირს იმ რუსი პოლიტიკოსებისგან, რომლებიც მეგობრებს არ ეძებენ და ყველას დამორჩილებას ცდილობენ, ევროპის კავშირისგან ასეთი მოქცევა ნამდვილად გასაოცარია.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ვაჭრობის სფეროში ევროპის კავშირთან დაკავშირებული ჩვენი მოლოდინი გადაჭარბებული აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. სრულიად მოულოდნელი იყო თუნდაც იმის აღმოჩენა, რომ მას სავაჭრო პოლიტიკაში არ ექნებოდა დაწერილი წესები და ასეთ საკითხებს ბუნდოვანი, ღია ინტერპრეტაციის მქონე მიმოწერით აგვარებდა. მის მიერ წამოყენებული მოთხოვნები ვაჭრობის პირობების გასაუმჯობესებლად, ხშირ შემთხვევაში, არანაირ კავშირში არ არის ვაჭრობასთან (პირიქით, ზოგი საკითხი, რომელიც ნამდვილად კავშირშია, საერთოდ არ განიხილება). ქვეყნებს მოეთხოვებათ, რომ ჰქონდეთ ისეთივე მარეგულირებელი სისტემა, როგორც საკუთრივ ევროკავშირს. არადა, მკაფიო და დაწერილი წესები ძალიან სასარგებლო იქნებოდა თუნდაც იმისთვის, რომ იცოდე: რა, როდის, როგორ და რატომ შეიძლება შეიცვალოს მომავალში, ან როდის და რომელი მხარე არღვევს არსებულ შეთანხმებებს.

ევროკავშირის რეგულაციები ისეთივე ბიუროკრატიულია, როგორც საბჭოთა კავშირის. მის ხელმძღვანელ ორგანოებში ისევ არ სჯერათ ადამიანის რაციონალური ბუნების და მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს მამობრივი ზრუნვის გარეშე ადამიანები მრავალ სისულელეს ჩაიდენენ. კიდევ, საბჭოთა იდეოლოგიის მსგავსად მიაჩნიათ, რომ კაპიტალისტები გაუმაძღარი ადამიანები არიან და ამის გამო ადვილად გასწირავენ სხვებს, მიაწვდიან მათ მოწამლულ პროდუქტებს, სახიფათო აპარატურას, გაანადგურებენ ბუნებას, შექმნიან მონოპოლიებს, დაჩაგრავენ მშრომელებს... სწორედ ეს იყო საბჭოთა ანტიბურჟუაზიული იდეოლოგია.

ახლახან ასეთ ინფორმაციას წავაწყდი: ათენში, წიგნების მაღაზიის კაფეში კლიენტმა ყავა მოითხოვა და მიმტანი სხვა ბარში წავიდა ყავის მოსატანად, რადგან მის კაფეს ყავის მომზადების ლიცენზია არ ჰქონდა. ხოლო როდესაც ამავე კლიენტს წიგნის ყიდვა მოუნდა, მას უპასუხეს, რომ დააგვიანდა — ამ მაღაზიის ლიცენზია 18-საათამდე იძლეოდა წიგნის გაყიდვის კანონიერ უფლებას. სახელმწიფომ იზრუნა ადამიანებზე, რომ მათ მხოლოდ მის მიერ გაკონტროლებული ყავა დაელიათ და თავი არ გადაეტვირთათ წიგნების კითხვით.

მეორე მაგალითს ტურინის ცნობილ რესტორანში — კაბირიას ღამეები — მე თვითონ გადავეყარე: როდესაც ხელის დაბანის შემდეგ გამშრალება დავაპირე, ხელსაწმენდ აპარატზე (რომელიც რატომღაც არ მუშაობდა) შევნიშნე წარწერა, რომ ის დამზადებული იყო ევროპული ნორმატივის დაცვით. ასე ხდება, როდესაც ადამიანი იძულებულია ფორმალურად დაიცვას ხელოვნური და გადაჭარბებული საკანონმდებლო ნორმები.

ევროპის კავშირი(ც) სრულად პოლიტიზებულია, იქაც სახელმწიფოა ყველაფერზე პასუხისმგებელი; ადამიანი ნელნელა კარგავს საკუთარ თავისუფლებას და პასუხისმგებლობას. მთავრობა კი, პირიქით, იზრდება, შეცდომას შეცდომაზე უშვებს, მერე საკუთარი ხალხის ხარჯზე ცდილობს ამ შეცდომების გამოსწორებას, რადგან ნავთობი და გაზი არ აქვს იმდენი, რაც ყოფილ საბჭოთა კავშირს და მეტი ვალის აღების საშუალებაც აღარაა.

როდესაც ამ საკითხებზე საქართველოში ვცადე(თ) დისკუსიის გამართვა, ბევრმა შეშფოთება გამოთქვა და საუბარიც კი არასასურველად ჩათვალა. ისინი ფიქრობენ, რომ ან ეს საკითხები არ წარმოადგენს პრობლემას, ან ჩვენი გასარჩევი არაა. კრიტიკისადმი ასეთ სიფრთხილეს პირველად არ შევხვედრივარ — 2005 წელს ავსტრიაში, კონფერენციაზე გამოსვლისას, ვენის უნივერსიტეტის ერთმა პროფესორმა დაიჩივლა, რომ შეუძლებელი იყო ევროკავშირის გაკრიტიკება პრესაში, რაც ჩემთვის სერიოზული სიურპრიზი იყო.

სამაგიეროდ, ცოტა ხნის წინ ბრიტანეთის და ჩეხეთის ლიდერებმა უარი თქვეს ევროპის ახალ ფისკალურ და ეკონომიკურ შეთანხმებაზე ხელის მოწერაზე. სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ ერთხელაც ევროპა დაუბრუნდება იმ საფუძვლებს, საიდანაც დაიწყო მისი გაერთიანება: ადამიანთა, სავაჭრო საქონლის, კაპიტალის და სერვისების თავისუფალი გადაადგილების პრინციპებს.

გია ჯანდიერი
www.tabula.ge

დედოფლისწყაროს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ასოციაციის საპატიო წევრი, მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის გამოჩენილი კომპოზიტორი

გია ყანჩელი

და თანაგრძნობას უცხადებს მისი ოჯახის წევრებს, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეს გოგი შავერზაშვილს და კავშირის წევრებს, შვილობილს, დირიჟორ ნიკოლოზ რაჭველს და უახლოეს მეგობარს, რეჟისორ რობერტ სტურუას. გამოსვენება 5 ოქტომბერს რუსთაველის სახელმწიფო თეატრიდან, დაკრძალვა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მონატრება

თინათინ მოსულიშვილი



ჩვენო საყვარელო დედა, აგერ უკვე 19 სექტემბერს ერთი წელი გავიდა, რაც დაგვტოვე და წახვედი ჩვენგან. მძიმე ტკივილი დაგვიტოვე, სადაც გავალ-გამოვალ სულ შენზე კარგი მესმის. შენი ცხოვრების მანძილზე კარგის მკეთებელი ქალბატონი იყავი, ყველას შეაყვარე თავი. ამ ერთი წლის მანძილზე ჩვენთანაც ცვლილება მოხდა. ხვიჩას გოგო – მარიამი გავათხოვეთ, ძალიან კარგი სიძე შეგვხვდა, მძახლებიც გადასარევი ხალხია, შენი ტკბილი ენით დაგვლოცე და წარმატებები გვისურვე.

ჩვენ შენთვის არაფერი დაგვიკვლია, გავაკეთეთ ყველაფერი ისე, შენ რომ გეკადრებოდა ჩვენგან. წლისთავისთვის მოვედით შენს საფლავზე, კეთილად გაგიხსენეთ, აგინთეთ სანთლები, წაგიქციეთ ჭიქა ღვინო და ვილოცეთ შენი სულისთვის. უფალმა ნათელი დაგიმკვიდროს.

შენი მონატრებული
შვილები, შვილიშვილები
და შვილთაშვილები.

მონატრება

ფიქრია ქადაქიძ

ჩემო უსაყვარლესო შვილო, დიდი ტკივილი მომაყენა შენმა სიკვდილმა, რასაც არავის არ ვუსურვებ ცხოვრებაში, რადგან ყველაზე მძიმე და გაუსაძლისია შვილის სიკვდილი. ჩემთვის ცხოვრებას არავითარი აზრი აღარ აქვს, ძალიან, ძალიან მტკივა უშენობა. დაცარიელდა სახლი უშენოდ. აღარ მინდა იქ მისვლა, აღარც იმ გზაზე გავლა, იმიტომ, რომ შენ აღარ შემეგებები და იქიდან წამოსულს აღარ გამომაცილებ.

ჩემო ლამაზო, კეთილო შვილო, დედოფლისწყაროში ყველა საუკეთესო პედაგოგად გიცნობდა, ყველას უყვარდი - ახლობლებს, მეგობრებს, მეზობლებს, რომლებიც დღემდე შენს გარდაცვალებას გლოვობენ. ჩემო საყვარელო შვილო, გამოაკლდი შენს ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, სანათესაოს. თვალებით მუდამ შენ დაგეძებ, მახსენდება შენი წარსული, ყურში ჩამესმის იმ წინასაღდგომოდ, წითელ პარასკევს შენი მძიმე სუნთქვა და ტკივილიანი კვნესა, რომელმაც საბოლოოდ დაგვაშორა. წლები გაივლის, გაგრძელდება ცხოვრება უშენოდ, მაგრამ დრო ვერ წაშლის იმ დიდ სიყვარულს, რომელსაც დედა-შვილობა ჰქვია. ყველას ძალიან დააკლდი ჩემო ტკბილო, თბილო და უწყინარო შვილო, ფიქრია, შენს ძმას, ძმისშვილებს, დეიდებს, დეიდაშვილებს და ბიძაშვილებს.

დღეს კი მინდა მოგილოცო დაბადების დღე – 7 ოქტომბერი, 55 წელი შეგისრულდებოდა. ცრემლით გილოცავ შვილო, მაგრამ ერთი რამ დამრჩა ნუგეშად, ვილოცო შენი სულისთვის, არ მოგაკლო წმინდა სანთელი და საკმეველი. უფალმა ნათელში გამყოფოს და სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი დედა ლილი ქადაგიძე –პოპიაშვილი

იყო ტანჯული ერთი ოსტატი...

(მეოთხე გვერდიდან)

- დედოფლისწყარო ამაყია, რომ ჰყავს ფიროსმანი და ჩვენ ვალდებული ვართ, ვუპატრონოთ მას და გამოვიყენოთ ღმერთისგან ბოძებული ეს გენია ტურიზმის განვითარების კუთხით. მადლობა ინიციატორებს და ყველას, ვინც მობრძანდით, რათა, ერთად გავიხსენოთ ჩვენი ნიკალა,- თქვა ილია მარტყოფლიშვილმა თავის გამოსვლაში.

- მადლიერება გამოთქვა **არასამთავრობო ორგანიზაცია „ვეჟინის“ დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა** ლაურა ხარიტონაშვილმა, რომელიც გურჯაანიდან სპეციალურად ამ საღამოზე დასასწრებად ჩამობრძანდა: – მე ფიროსმანის ფანი ვარ და ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება, ორი წლის წინ, ჩემი ორგანიზაციის პროექტით, რესტავრაცია გაგვეკეთებინა ნიკოს ბიძაშვილების სახლისთვის, რომლის ჩვენებითაც იწყება დღეს ექკურსიები მის სახლ-მუზემში. მინდა გითხრათ, რომ ჩემს პაპას და მის ძმას, რომლებიც გურჯაანში ცხოვრობდნენ, დუქანი ჰქონდათ თბილისში, გოგოლის ქუჩაზე, ფიროსმანის ქუჩის პარარელურად აბრით „შაქრო და ტეფო ხარიტონაშვილების ზვრები“, რომელიც, სავარაუდოდ, შესრულებული იყო ნიკო ფიროსმანაშვილის მიერ. პაპა კარგად იცნობდა ნიკალას და ბევრი მოგონება და სამახსოვრო ნივთიც ჰქონდა, მაგრამ გაკულაკების დროს ყველაფერი დაიკარგა. როცა გოგლა ლეონიძემ ფიროსმანის კვლევა დაიწყო, ჩვენს ოჯახშიც მოვიდა და ჩაიწერა, თუ ვინმეს რაიმე ახსოვდა, მაგრამ ნივთები უკვე აღარაფერი გაგვაჩნდა. დღეს ძალიან ვისიამოვნე ამ საღამოთი და მადლობა ორგანიზატორებს.

საღამოს მიმდინარეობისას სცენაზე სისტემატიურად აჩვენებდნენ ნიკო ფიროსმანასშვილის ცხოვრების ამსახველ სლაიდებს. სცენას ამშვენებდა, აგრეთვე, ნიკოს შესანიშნავი პორტრეტი და დიდი ტილო, რომელიც შექმნა ახალგაზრდა მხატვარმა, მირზაანელმა ბელა ლობჯანიძემ. საოცრად შთამბეჭდავი იყო მხატვრის მიერ წარმოდგენებში გაცოცხლებული კიბის ქვეშ მცხოვრები ნიკალას სახე, მისი ყოფა და „ავლადიდება“ . ღონიისძიების დასასრულს ვესაუბრე **ბელა ლობჯანიძეს**, რომლის სახელსაც ჩვენი მკითხველი არაერთხელ შეხვედრია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მისი პერსონალური გამოფენების გაშუქების დროს.

- უზომოდ კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით, რადგან ჩემი სულის და გულის ნაწილი ტილო **„ფიროსმანის სამყაროც“** ამშვენებდა ამ საღამოს. ფიროსმანისადმი მიძღვნილი ყოველი ღონისძიება ჩემთვის ბედნიერების მომტანია. მეტი ყურადღება სჭირდება ადგილს, სადაც ეს გენიოსი დაიბადა. უშუალოდ მირზაანში უნდა ტარდებოდეს ღონისძიებები. ორი თვეა, დედაქალაქიდან სოფელში ჩამოვედი. პირველი, რაც თავში აზრად მომივიდა, ახალგაზრდებში მხატვრობის სიყვარულის გაღვივება და ამ კუთხით მათი ცნობიერების ამაღლება იყო. ამიტომ, ჩამოვაყალიბე ხატვის წრე და უსასყიდლოდ ვუტარებ მათ ხატვის გაკვეთილებს. ჩემდა გასაოცრად, ბავშვები, რომლებიც მთელ დღეებს სტაიონზე და გართობაში ატარებდნენ, დათქმულ დროზე ადრე მოდიან გაკვეთილზე. მინდა, ხელი შევუწყო მათ თავისი ნიჭის გამოვლენაში. აგრეთვე, სურვილი მაქვს, სოფელში გავხსნა კაფე-გალერეა, ჩამოვიყვანო და იქ შეხვედრები მოვუწყო თანამედროვე მხატვრებს, გავაკეთო მათი გამოფენები. აგრეთვე გამოვფინო და რეალიზებაში დავეხმარო სოფელში მცხოვრებ ხელსაქმის ოსტატებს, რომლებიც საკმაოდ საინტერესო ნამუშევრებს ჰქმნიან, - თავისი გეგმები გაგვანდო მირზაანელმა თვითნასწავლმა მხატვარმა გოგონამ.

ღონისძიების დასასრულს ნაზი სარჯველაძემ და ლია ორაგველიძემ მადლობა გადაუხადეს მასპინლებს თბილი დახვედრისთვის და იდეის განხორციელების საქმეში ხელის შეწყობისათვის.

* * *

არ შემიძლია, არ გამოვხატო ჩემი გულისტკივილი იმის გამო, რომ ამ მშვენიერ და საინტერესო საღამოს ძალიან ცოტა მაყურებელი ესწრებოდა. მშობლებო, ჩაკიდეთ ხელი თქვენს შვილებს და ატარეთ ისინი ასეთ კულტურულ ღონისძიებებზე. მათ ეს ძალიან წაადგებათ ცხოვრებაში, პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ამაზე სასარგებლო საქმეს ვერ გაუკეთებთ თქვენს შვილებს. ამას საკუთარი გამოცდილებიდან გირჩევთ, დამიჯერეთ!

ნაირა გორაშვილი

ვერდის ფესტივალი საქართველოში

ვერდის ფესტივალის ფარგლებში თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა პარმის სპექტაკლი „ბალ-მასკარადი“ სამ მოპქმედებად. ლიბრეტოს ავტორი ანტონიო სომა.

ფესტივალის გახსნა დამსწრე საზოგადოერბას მიულოცა სამხატვრო ხელმძღვანელმა ბადრი მაისურაძემ.

ბალ-მასკარადში წამყავნ პარტიებს ასრულებდნენ: ოთარ ჯორჯიკია – რიკარდო, სულხან გველესიანი – რენატო, მაყვალა ასპანიძე – ამელია, ნანა ძიძიგური – ელრიკა, მარინა ბერიძე – ოსკარი, ვანო გალუაშვილი – სილვანო, ლევან მაკარიძე – სამუელო, გიორგი გოდრძიშვილი – ტომი, ალექსანდრე თიბულაშვილი – მოსამართლე, პაატა სუხიტაშვილი – ამელიას მსახური..

დამდგმელი დირიჟორი, თეატრის მთავარი დირიჟორი დიდი მაესტრო ზაზა აზმაიფარაშვილი.

„ბალ-მასკარადი“ მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარდა, ულამაზესი დეკორაციები და კოსტუმები დიდ ხიბლს მატებადა მთელ სპექტაკლს, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის იტალიელ რეჟისორს, სცენარისტს, გრაფს და კოსტიუმების მხატვარს პიერლუიჯი სამარიტანს.

მომღერლისათვის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო, მაყურებლისაგან მიღებული ხანგრძლივი აპლოდისმენტებია, ფეხზე წამომდგარი ზღვა მაყურებელი „ბრავოს“ შეძახილებით და ხანგრძლივი ტაშით აჯილდოვებდა სპექტაკლის როგორც მთავარი პარტიების შემსრულებლებს, ასევე თითოეულ მომღერალს, სიმფონიური ოტკესტრის თითოეულ მუსიკოსს, გუნდს და დამდგმელ დირიჟორს ზაზა აზმაიფარაშვილს.

მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი ძალიან გვიან დამთავრდა, წასვლას არავინ ჩქარობდა. აღფრთოვანებული მაყურებელი ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდა.

ნანა ჭიჭინაძე



გაიღიმეთ!

სვანი სახლში ახალ ავეჯს დგავდა, ძველს კი ფანჯრიდან ჰყრიდა. მეზობელი ეუბნება:

- ვინმეს არ დაეცეს, სანამ გადააგდებ დაიყვირე მაინც.

სვანმა უპასუხა:

- მე რა მაქვს საყვირელი. ვისაც დაეცემა იმან იყვიროს.

* * *

სამი სვანი სადგურიდან ახლად დაძრულ მატარებელს მისდევს. ორი შეახტება, ერთი ვერ დაეწევა, დგას და იცინის. სადგურის მორიგე ეკითხება:

- რა გაცინებს?

- ის ორი მე მაცილებდა!

* * *

სვანები 99-ე სართულზე ფეხბურთს თამაშობენ და ბურთი გადაუვარდებათ. ყველანი კიბით ჩავლენ ამოსატანად. სახურავზე მარტო ერთი სვანი დარჩება, რომელიც პირდაპირ გადახტება და ასფალტს დაენარცხება. კიბით ჩასულები მისცვივდებიან მიცვალებულს და

ურტყამენ, რაც ძალა და ღონე აქვთ:

მოკლე გზა თუ იცოდი, ჩვენ რატომ არ გვასწავლეო?!

ულოცავენ!

ოთარ ნადირაშვილს!



ჩვენი ოჯახის თავკაცო და საყრდენო ბურჯო. 9 ოქტომბერს შენ გახდები 70 წლის. მერწმუნეთ, იყო კარგი მეუღლე და მამა არ არის ადვილი. მაგრამ შენ ისეთი გაწონასწორებული პიროვნება ხარ, რომ ეს არ გაგჭირვებია. მთელი შენი შეგნებული ცხოვრების წლები საყვარელ საქმეს მიუძღვენი. პროფესიისადმი სიყვარულმა მანქანის საჭესთან 50 წელი გაგატარებინა. ახალგაზრდამ დაიწყე მუშაობა და სადაც კი გიმუშავია, ყველგან დიდი პატივისცემა და სიყვარული დაგიმსახურებია.

ძალიან გვიყვარხარ და ვაფასებთ შენს ამაგს ჩვენი ოჯახის წარმატებაში. გაჭირვების დროსაც ახერხებდი შენი ჩვეული ხალასი იუმორით გამოგეყვ ანეთ არსებული მდგომარეობიდან. შენ ვალმოხდილი მამა და პაპა ხარ. იცოცხლე დიდხანს ჩვენდა საიმედოდ.

სიყვარულით,
მეუღლე ჟუჟუნა ჯაგაშვილი, **შვილები**: დავითი, ნინო,
რძალი რუსუდანი, **შვილიშვილები**: გაბრიელი და მარიამი.

ყურადღება!

დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული **ფოლკლორული ანსამბლი „მანდილი“** აცხადებს მოსამზადებელ ჯგუფში ბავშვების მიღებას. მიიღებიან ბიჭები და გოგონები 7 წლიდან 12 წლამდე.

სწავლა უფასოა. მეცადინეობა ჩატარდება ხელოვნების სკოლის შენობაში.

ცნობებისათვის დაგვიკავშირდით
☎ 593 19 29 50, დალი ელისაშვილი.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 07.10	სამშაბათი 08.10	ოთხშაბათი 09.10	ხუთშაბათი 10.10	პარასკევი 11.10	შაბათი 12.10	კვირა 13.10
დღე	17 °	17 °	20 °	14 °	16 °	19 °	18 °
ღამე	14 °	16 °	13 °	13 °	15 °	16 °	17 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.